სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
200.140.030.35.143.000.601

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2010 წლის 24 აგვისტო

ქ. ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრისა და შესაბამისი ზონირებისა და ზონირების კოეფიციენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ," საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების და 271–273, 274-ე მუხლის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საქართველოს ქალაქების (რაიონების) მაკრომდებარეობის ტერიტორიების ზონირებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის ან წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის მეთოდიკის დამტკიცების შესახებ", საქართველოს ეკონომიკის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 25 იანვრის №6/18 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული მეთოდიკის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს ადგილობრივი გადასახადი – ქონების გადასახადი:

ა) საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისათვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა. გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვროს დასაბეგრი ქონების ღირებულების ერთი პროცენტით.

დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში უნდა განისაზღვროს:

ა.ა) 2000 წლამდე შესყიდულ აქტივებზე 3-ჯერ;

ა.ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე შესყიდულ აქტივებზე 2-ჯერ;

ა.გ) 2004 წელს შესყიდულ აქტივებზე 1,5-ჯერ;

ა.დ) იმ აქტივებზე, რომელთა შესყიდვის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს – ამ ნაწილის „ა"ქვეპუნქტით განსაზღვრული ოდენობით;

ბ) საწარმოსათვის, ორგანიზაციებისათვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვროს დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების ერთი პროცენტით (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების

საშუალო ღირებულების მიხედვით) ამ ნაწილის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად მიიჩნევა აღნიშნული ქონების ნარჩენი ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არ გაცემის შემთხვევაში;

გ) ფიზიკური პირისათვის დასაბეგრ ქონებაზე გარდა მიწისა გადასახადის წლიური განაკვეთი გადასახდელი იჯარის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით განისაზღვროს:

გ.ა) 100000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2%;

გ.ბ) 100000 ლარისა და მეტი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,8 %.

2. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონები გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტი და გადასახადის ოდენობა №1 დანართის მიხედვით.

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 1 ჰა-ზე წელიწადში განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული ერთეულისათვის სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის მიწის ხარისხი კარგი, მწირი 36;20 ლარი.

4. ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის წელიწადში 1 ჰა-ზე განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიული ერთეულისათვის, გაკულტურებული სათიბები და საძოვრებისათვის 4; 2; 7; 3 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. ლომიძე

დანართი №1

ზონა	ქუჩების დასახელება	გადასახადის ოდენობა 1 კვ.მ. თეთრებში	ტერიტო-რიული კოეფიცი-ენტი
ქ. ხაშურის ცენტრალური ზონა	რუსთაველის ქ., 26 მაისის ქ-მდე, მელიქიშვილის ქუჩის ნაწილი სააკაძის ქუჩა აღმაშენებლის ქუჩამდე, ყაზბეგის ქ., 26 მაისის ქ-მდე, ტაბიძის ქუჩა ასათიანის ქუჩამდე, დ. მჭედლიშვილის ქ, ბესიკის ქუჩა, 1 მაისის ქუჩა, ტელიაფუსის ქუჩა, ძნელიძის ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა, კოსტავას ქუჩა, ლესელიძის ქუჩის ასახვევამდე, ლესელიძის ქუჩა, სირბილაძის ქუჩა, მარკოზაშვილის ქუჩა, ნ.მაყაშვილის ქ., აღმაშენებლის ქ., წყაროს ქ., 9 აპრილის ქ., ნ. მაყაშვილის ასახვევამდე, ფალიაშვილის ქ., გორკის ქუჩის ასხვევამდე, ვახუშტის ქუჩა, კიევის ქუჩა, მოსკოვის ქუჩა, ზანიერის ქუჩა, აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთავის ქუჩამდე, ბორჯომის ქუჩა.	16.32	0.68
ქ. ხაშურის შუალედური ზონა	ძველი სასაფლაოს ტერიტორია, მარჯანიშვილის ქუჩა, სუმბათაშვი-ლის ქუჩა, ანტონოვსკაიას ქუჩა, პაპუაშვილის ქუჩა, ევდოშვილის ქუჩა, სუმბათაშვილის ქუჩამდე, გამსახურდიას ქუჩა, თავდადებულის ქუჩა, სუმბათაშვილის ქუჩის შესახვევამდე, შოლის ქუჩა, ცხვირაშვი-ლის ქუჩა, ფარნავაზის ქუჩა, გურამიშვილის ქუჩა, ლეონაძის ქუჩა, თაყაიშვილის ქუჩა ცენტრალური ზონის გარდა, ბარათაშვილის ქუჩა, ინგოროყვას ქუჩა, ჩაიკოვსკის ქუჩა, აღმაშენებლის ქუჩა ცენტრა-ლური ზონის გარდა, დევდარიანის ქუჩა, ფალიაშვილის ქუჩა ცენტრალური ზონის გარდა, ტაბატაძის ქუჩა, ჯავახიშვილის ქუჩა, ნიკოლაძის ქუჩა, დ. ყიფიანის ქუჩა, ქვიშხეთის ქუჩა, თუმანიშვილის ქუჩა, წულუკიძის ქუჩა, ლომოურის ქუჩა,	13.68	0.57

	ხერხეულიძის ქუჩა, 26 მაისის ქუჩა ცენტრალური ზონის გარდა, ასათიანის ქუჩა, მელიქიშვილის ქუჩა ცენტრალური ზონის გარდა, ტაბიძის ქუჩა ცენტრალური ზომის გარდა, გოგოლის ქუჩა, კოოპერაციის ქუჩა გოგოლის ქუჩამდე, ერისთავის ქუჩა, წერეთლის ქუჩა, ხეთაგუროვის ქუჩა, ჭავჭავაძის ქუჩა, ბარბაქაძის ქუჩასა და კოოპერაციის ქუჩას შორის, კილაბერიძის ქუჩა კოოპერაციის ქუჩის ასახვევამდე, გაბაშვილის ქუჩა, წმინდა ნინოს ქუჩა გაბაშვილის ქუჩის ასახვევამდე, სანაპიროს ქუჩა ხეთაგუროვის ქუჩის ასახვევამდე, დუმბაძის ქუჩის ნაწილი, გოგებაშვილის ქუჩა, ფოთის ქუჩა, სოხუმის ქუჩა, ქუთაისის ქუჩა, დადიანის ქუჩა, სვანიძის ქუჩა, ახალციხის ქუჩა, წერეთლის ქუჩა, გიორგობის ქუჩა, გელოვანის ქუჩა, დოდაშვილის ქუჩა, რაზმაძის ქუჩა, საიათნოვას ქუჩა, თბილისის ქუჩა, გორის ქუჩა, თევდორე მღვდლის ქუჩა დუმბაძის ქუჩამდე და გრიბოედოვის ქუჩამდე, გრიბოედოვის ქუჩა, ვაჟა-ფშველას ქუჩა, ომიაძის ქუჩა, არსენას ქუჩა, მგალობლიშვილის ქუჩა, დუმბაძის ქუჩა, ოსიაურის ქუჩა, კოსტავას ქუჩა ცენტრალური ზონის გარდა, 9 აპრილის ქუჩა ცენტრალური ზონის გარდა, ჯაფარიძის ქუჩა, კიკვიძის ქუჩა, ნონოშვილის ქუჩა.		
ქ. ხაშურის პერიფერიული ზონა	პერიფერიული ზონას მიეკუთვნოს ქალაქში არსებული ყველა დანარჩენი ქუჩა ცენტრალურ და შუალედურ ზონებს მიკუთვნებული ქუჩების გარდა	11.04	0.46
დაბა სურამის ტერიტორია		9.84	0.41
მუნიციპალი-ტეტში არსებული სხვა დასახლების ტერიტორია		6.72	0.28
დასახლებათა შორის არეალები		3.36	0.14